სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030690860253519

08 / თებერვალი / 2019 წ. **თბილისი #06-43/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფების შექმნის და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 37-ე მუხლის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ინსპექტირების ჯგუფი/პასუხისმგებელი პირი და მიღება - ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვროს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით.

2. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის წევრების/ ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის და მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირების საპატიო მიზეზით სამსახურში არ ყოფნის, ან იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული აღნიშნული პირები, მოწოდებული საქონლის ინსპექტირება, დაევალოს შესაბამისი დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსს ან მათი მოვალეობის შემსრულებლებს.

3. ამ ბრძანებით განსაზღვრულმა ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა/პასუხისმგებელმა პირმა გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით უზრუნველყონ:

ა) მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების კონტროლი;

ბ) ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე ზედამხედველობა, შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელისმოწერა და სათანადო დასკვნების მომზადება მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეუსრულებლობაზე.

გ) ინსპექტირების აქტში „არასათანადოდ“ შეფასების შემთხვევაში აღინიშნოს შესაბამისი მიზეზები.

4. ამ ბრძანებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობა/პასუხისმგებელი პირი და მიღება - ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვროს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ინპექტირების ჯგუფის შემადგენლობას, იმ შემთხვევაში, როცა სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 200 000 (ორასი ათასი) ლარს, დაემატოს შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი და კურატორი მოადგილე .

6. შეტყობინებას საჯარიმო სანქციის დაკისრების თაობაზე ხელს აწერს შესაბამისი სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

7. ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება სახელმწიფო ბიუჯეტის 27 03 02 06 03 ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამა და 27 03 02 07 03 საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა

სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით პროგრამული კოდების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე, მათ შორის აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პრექტები.

8. დამტკიცდეს ინსპექტირების აქტების ფორმები თანდართული დანართი #1-ის და დანართი #2-ის შესაბამისად.

9. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფების შექმნის და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2015 წლის 27 მარტის #06-60/ო ბრძანება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

11. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე